საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1830 2015 წლის 1 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 29 (ოცდაცხრა) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (ს/კ №404401438).

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღეში;

ბ) საქართველოს მთავრობას, „Clean Energy Invest As“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმების (2012 წლის 28 სექტემბერს და 2014 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) თანახმად, შუახევის ჰიდროელექტროსადგურის ამავე შეთანხმებით დადგენილი პირობების შესაბამისად აშენება და ექსპლუატაციაში მიღება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

	ნაკვეთის კოდი	მისამართი	ნაკვეთის ფართი (კვ.მ)
1	23.06.33.270	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიაკონიძეები	16 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
2	24.04.40.205	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახალაკიძეები	6839 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
3	24.04.40.206	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახალაკიძეები	4536 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
4	23.03.33.048	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდაჭარა	15747 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
5	23.03.34.041	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდაჭარა	1870 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი